WELEDA

საბავშვო აფთიაქი

მშობლის მეგზური

ბუნებრივი, უსაფრთხო სამკურნალო საშუალებები ბავშვებისათვის

სარჩევი

რჩევები მშობლებისთვის 4
ველოდას წამლების უსაფრთხოება 5

გრიპი და გაციება 6
- გაციება და გრიპი 7
- ხველა და ხმის ჩახლეჩა 12
- სურდო და სინუსიტი 17

პოლინოზი 20

თვალის დაავადებები 24

კანის დაავადებები 28
- მზის დამწვრობა და მწერის ნაკბენები 29
- დათუთქვა და დამწვრობა 32
- ჭრილობის დამუშავება 34
- ნეიროდერმიტი და ეგზემა 37

სპორტული ტრამვები 40
- დაბეჟილობა, მოტეხილობა, ღრძობა, სისხლჩაქცევა 42

კუჭ-ნაწლავის ჩივილები 43
- ღებინება / გულისრევა 44
- შებერილობა / მუცლის ტკივილი 46
- ყაბზობა / დიარეა 47

ნევროზული მდგომარეობა და ძილის დარღვევები 49

ჯანსაღი ძვლებისა და კბილების ჩამოყალიბების ხელშეწყობა 56

რჩევები მშობლებისთვის

ბავშვები ჩვეულებრივ ხშირად ავადმყოფობენ. სიცხით მიმდინარე ინფექციური, კუჭ-ნაწლავის ან კანის დაავადებების, ალერგიის, თუ სპორტული ტრამვის დროს საჭიროა ვიცოდეთ როდის მივმართოთ ექიმს და როგორ შევარჩიოთ უსაფრთხო სამკურნალო საშუალებები. უმეტეს შემთხვევებში თქვენი პატარას მკურნალობაში, ველედას ბუნებრივი და ეფექტური წამლები დაგეხმარებათ.

ველედას ბუნებრივი და ეფექტური სამკურნალო საშუალებები

ბავშვები სამყაროს მთელი გრძნობით იკვლევენ და ეხებიან. ეს დროდადრო მტკივნეული, მაგრამ მნიშვნელოვანია მათი ზრდა - განვითარებისთვის. დაავადებების საშუალებით ორგანიზმი გარემოსთან ურთიერთობს და ნელ-ნელა სწავლობს მასთან გამკლავებას. ბავშვთა დაავადებების უმეტესობა ნორმალური განვითარების ნაწილია და სწორი მხარდაჭერით უვნებელია. იმუნური სისტემა სხვადასხვა პათოგენებთან ურთიერთობისას ვითარდება. ცხელება და ასევე ისეთი სიმპტომები, როგორიცაა დიარეა და ღებინება, სინამდვილეში ძალზე სასარგებლო თავდაცვითი მექანიზმებია, მაგრამ საკმაოდ რთული ბავშვისა და მისი მშობლებისთვის.

ველედას წამლები გამოიყენება პრევენციისა და მკურნალობისთვის. ააქტიურებს თავდაცვის, ბრძოლის უნარს და ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს უბრუნებს ბუნებრივ ბალანსს..

სამკურნალო მცენარეების ბიოდინამიური ან კონტროლირებადი ბიოლოგიური კულტივაცია, ისევე როგორც სერტიფიცირებული ველური კოლექცია ქმნიან ველედას ნედლეულის გამორჩეულ ხარისხს.

ყველა მცენარე, რაც ველედას ბაღებში იზრდება და ხარობს, ბიოდინამიური მეურნეობის პრინციპების მიხედვით არის გაშენებული. აქ არ იყენებენ ქიმიურ სასუქებს ან პესტიციდებს. ველედას ბაღები ეკოსისტემებია, სადაც ყოველ წევრს შორის (მცენარე, ნიადაგი, მწერი) ბალანსი დაცულია და ეს არის ერთადერთი გზა როგორც ბუნების, ისე ადამიანების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. აქ ხელსაყრელი პირობებია იმისთვის, რომ თითოეულ სამკურნალო მცენარეს თავისი თერაპიული პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება მიეცეს.

ველედას წამლების უსაფრთხოება

ბუნებრივი კონსერვაცია სპირტით

მცენარეული ექსტრაქტის წარმოებისა და შენახვისათვის სპირტის დამატება ხშირ შემთხვევაში შეუცვლელი მეთოდია. სპირტიანი წამლის მიღების ერთჯერადი საშუალო დოზა 5-10 წვეთი, რომელიც ჭიქა წყალში ან ჩაიში უნდა განაზავოთ, არ არის საზიანო და არ ახდენს უარყოფით გავლენას. ცხელ ჩაიში ჩაწვეთებული წამლის შემადგენელი სპირტის უმეტესი ნაწილი ორთქლდება. გარდა ამისა, სპირტი ბუნებრივად მცირე რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა საკვებში. შედარებისთვის: წამლის 5 წვეთი შეიცავს მაქსიმუმ 0,15 გ სპირტს, 100 გ ყურძნის წვენი კი - 0,4 - 1,0 გ სპირტს.

ველედას ტაბლეტები გლუტენის (წებოგვარა) აუტანლობის მქონე პაციენტებისთვის

ტაბლეტების წარმოებისთვის ხორბლის სახამებელი გამოიყენება, რომელშიც ცილის შემცველობა შემცირებულია 0,3%-მდე. გერმანიის ცელიაკიის საზოგადოების მოთხოვნების მიხედვით, პროდუქტები, რომლებიც შეიცავს ხორბლის სახამებელს ამ კონცენტრაციით, შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც უგლუტენო და მათი მიღება ცელიაკიის მქონე პაციენტებისთვის უსაფრთხოა.

ლაქტოზა ველედას წამლებში

ტაბლეტები და ტრიტურაციები ლაქტოზის (რძის შაქრის) ფუძეზე მზადდება. ზოგიერთ ადამიანს ლაქტოზის აუტანლობა აწუხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეუძლია ამ ნივთიერების დაშლა და ეს კუჭ-ნაწლავის პრობლემებით ვლინდება. ტაბლეტებში შემავალი ლაქტოზის მცირე რაოდენობა ჩვეულებრივ უვნებელია ლაქტოზის აუტალობის მქონე პაციენტებისთვის.

გერმანიის კვების საზოგადოების ინფორმაციით, ლაქტოზის აუტანლობის მქონე პაციენტთა უმეტესობას, რომლებიც იღებენ დღეში 8 - 10 გ ლაქტოზას - რაც შეესაბამება დაახლოებით 200 მლ რძეს, არ აღენიშნებათ ჩივილები. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მცირე რაოდენობით ლაქტოზის მიღება არის უსაფრთხო. შედარებისთვის: ველედას ერთი ტაბლეტი შეიცავს 180 -250 მგ ლაქტოზას, რაც ადასტურებს მის უსაფრთხოებას ლაქტოზის აუტანლობის მქონე პირებისათვის.

გრიპი და გაციება

გაციება შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს - მარტივი გაციებიდან გრიპის ინფექციამდე.

სიტყვა „გაციება“ უკვე სითბური ბალანსის დარღვევაზე მიგვანიშნებს. ორგანიზმის გაციებას სხვადასხვა მიზიზი აქვს (თამაშისას ოფლიანობა, ორპირი და სხვა...) ბავშვის იმუნური სისტემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განვითარებული – ასე რომ, თუ თქვენს შვილს ხშირად აქვს სურდო, ცხელება ან ხველა არ უნდა ინერვიულოთ. ყველა მსუბუქი ინფექცია ითვლება კარგ იმუნურ ვარჯიშად. სწორი მოვლა, მშობლების სიმშვიდე, დიდი რაოდენობით თბილი სითხის მიღება, საწოლში თბილად ყოფნა და მოსვენება, ეფექტური ბუნებრივი წამლების გამოყენებასთან ერთად ყოველგვარი გართულების გარეშე გამოაჯანმრთელებს თქვენს პატარას. გაითვალისწინეთ, რომ ძალების ბოლომდე აღდგენას დრო სჭირდება.

გაციება და გრიპი

გაციების დაწყებისას პატარები თავდაპირველად დაღლილობას გრძნობენ, ითენთებიან. შემდეგ ტიპიური სიმპტომები ჩნდება: ხველა, სურდო, ხმის ჩახლეჩა, თავის და კიდურების ტკივილი. ცხელება და უღონობა; რაც იმის ნიშანია, რომ იმუნური სისტემა აქტიურად ცდილობს პათოგენებთან ბრძოლას.

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Aconitum napellus

ტილქირის ნაყენი თავისი ანთების საწინააღმდეგო, ანტივირუსული, ტკივილგამაყუჩებელი თვისებებით Infludoron®-ის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

INFLUDORON® გლობულები ხსნის გრიპის ტიპიურ სიმპტომებს და არეგულირებს სხეულის ტემპერატურას

გაციების პირველი ნიშნებისთანავე Infludoron®-ის მიღება აფერხებს და ამსუბუქებს დაავადების მიმდინარეობას. ბუნებრივი წამალი შეიცავს რკინა-ფოსფორის ნაერთს პოტენცირებული ფორმით, რომელიც არეგულირებს თბორეგულაციას და შესაბამისად, მის დამცავ მექანიზმს.

სიმპტომების გამოვლენისთანავე, როგორიცაა ცხელება, დაღლილობა და სხეულის ტკივილი Infludoron®-ის გამოყენება ააქტიურებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას.

ტილჭირი ხსნის მწვავე სიმპტომებს და არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

ლეშურა და ვარდკანაფა არეგულირებს ლორწოს ჰიპერსეკრეციას.

საბადილა და ევკალიპტი აუმჯობესებს ცხვირით სუნთქვას.

რკინის ფოსფატი აძლიერებს იმუნურ სისტემას და ამოკლებს დაავადების ხანგრძლივობას.

დოზირება და გამოყენების წესი (გლობულები მიიღება გასაწუწნად):

მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლიდან 15 გლობულა ყოველ 1-2 საათში ერთხელ, **6-დან 11 წლამდე** 8-10 გლობულა ყოველ 1-2 საათში ერთხელ, **1-დან 5 წლამდე** 5-10 გლობულა 3-4-ჯერ დღეში, **0-1 წლამდე** 3-5 გლობულა 3-4-ჯერ დღეში.

ჩვილ ბავშვებს შესაბამისი დოზა გაუხსენით მცირე რაოდენობით სითხეში.

შემადგენლობა: 10 გ გლობულები შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: ტილჭირის (Aconitum napellus) ხსნრი D1 0,01 გ / ლეშურას (Bryonia) ხსნარი D1 0,06 გ / ევკალიპტის (Eucalyptus) დედო ნაყენი Ø 0,05 გ / ვარდკანაფას (Eupatorium perfoliatum) ხსნრი D1 0,04 გ / რკინის ფოსფატის (Ferrum phosphoricum) ხსნრი D6 (HAB, V. 8a) 0,1 გ / საბადილას (Sabadilla) დედო ნაყენი Ø 0,01 გ.

როდის მივმართოთ ექიმს?

- თუ ავადმყოფობა თავის, სახსრების, და კუნთების ტკივილით მიმდინარეობს, ამასთან დაავადება პროგრესირებს მაღალი სიცხით და ძლიერი შემცივნებით
- თუ ტემპერატურა ნარჩუნდება 3 დღეზე დიდხანს, ან 39ºC -ს აღემატება.
- თუ ბავშვს აქვს თანმხლები დაავადებები .
- ძლიერი, გახანგრძლივებული თავის ტკივილის, თავბრუსხვევის ან კისრის რიგიდობის შემთხვევაში.
- ფებრილური კრუნჩხვების დროს.
- სუნთქვის გაძნელებისას.
- ჩირქოვანი ან სისხლნარევი ნახველის დროს.
- შუბლის მიდამოში ზეწოლისა და ტკივილის; გულმკერდის არეში მოჭერის შეგრძნების შემთხვევაში.
- გახანგრძლივებული და პროგრესირებადი სისუსტის დროს.
- შემცივნების ეპიზოდების გახანგრძლივებისას.

რჩევა

გრიპისა და გაციების დროს ბავშვს განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება.

მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერი, შემცივნების და ტემპერატურის მატების დროს შესაბამისი სამოსი, ორპირისგან დაცვა.

ჩვილის თბორეგულაცია ჯერ კიდევ არასტაბილურია, განსაკუთრებით უნდა დაიცვათ პატარას თავი. კარგია თუ სახლშიც ბავშვს ბუნებერივი ქსოვილის თხელ ქუდს დავახურავთ.

ცაცხვის ყვავილების ჩაი

ბავშვის ორგანიზმის დამცავი მექანიზმის გასაძლიერებლად გამოიყენეთ ცაცხვის ყვავილების ჩაი. ცაცხვს აქვს გამათბობელი მოქმედება და იმუნურ სისტემას აძლიერებს.

წვივების საფენები ტემპერატურის დასაწევად

ბამბის ქსოვილი დაასველეთ ნელთბილ წყალში (წყლის ტემპერატურა სხეულის ტემპერატურაზე 2-5 გრადუსით დაბალი უნდა იყოს), კარგად გაწურეთ და შემოახვიეთ ტერფებსა და წვივებზე, ზემოდან შეფუთეთ მშრალი ბამბის ქსოვილით, 15 წუთის შემდეგ საფენი მოხსენით და პროცედურა კვლავ გაიმეორეთ. გამაგრილებელი საფენი გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ტერფები თბილი აქვს.

კარგია იცოდეთ

გრიპისა და გაციების გამომწვევი მიზეზები

ავადობის მიზეზი უბრალო გაციებაა თუ გრიპი (influenza) შესაძლოა მისი მიმდინარეობის სიმძიმის ხარისხით დავადგინოთ. გრიპოზული ინფექცია შესაძლოა ვირუსის სხვადასხვა სახეობამ გამოიწვიოს, რომელიც მსუბუქი შემცივნებით და ცხვირიდან გამონადენით იწყება. გრიპის ინფექცია, რომელსაც influenza ვირუსები იწვევს ხშირად უეცარი ცხელებით, თავის, კიდურებისა და კუნთების ძლიერი ტკივილით იწყება. ამ დროს სასურველია ექიმის კონსულტაცია.

ფებრილური კრუნჩხვები

ავადმყოფობის დროს გადაჭარბებული რეაქციები ვლინდება: ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში შესაძლოა ტემპერატურის მატებამ ფებრილური კრუნჩხვები გამოიწვიოს. პროცესი საკმაოდ დრამატულად გამოიყურება, თუმცა როგორც წესი რამდენიმე წუთში გაივლის და ორგანიზმს ზიანს არ აყენებს. თუ ბავშვს კრუნჩხვა პირველად განუვითარდა, სწორი დიაგნოსტირებისთვის აუცილებლად გამოიძახეთ ექიმი და შეეცადეთ დაუგდოთ ტემპერატურა. ექიმის რჩევები მომავალში ფებრილური კრუნჩხვების თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ.

გაითვალისწინეთ, რომ 1 წლამდე ასაკში განვითარებული ფებრილური კრუნჩხვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ საჭიროა სამედიცინო დახმარება.

თბორეგულაციის ხელშეწყობა იცავს იმუნურ სისტემას

თუ ბავშვს ამცივნებს და ცივი ტერფები აქვს, გამათბობლად და იმუნური სისტემის ხელშესაწყობად გამოიყენეთ ტერფის აბაზანა: 35ºC ტემპერატურის წყალი მოათავსეთ ღრმა თასში, ისე რომ ბავშვს კოჭებამდე სწვდებოდეს, ეტაპობრივად დაამატეთ ცხელი წყალი, სანამ ტემეპარტურა 38 – 40 ºC -ს არ მიაღწევს. აბაზანის შემდეგ ფეხზე თბილი შალის წინდა ჩააცვით.

მაღალი ტემპერატურა

ბავშვის იმუნური სისტემა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, რის გამოც გრიპოზული ინფექციები ხშირად ემართება და ისინი მაღალი სიცხით მიმდინარეობს. რესპირატორული ინფექიების დროს, ტემპერატურის მატება ითვლება ეფექტურ დამცავ მექანიზმად. მაღალი ტემპერატურა ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას და განგაშის სიგნალს აძლევს დამცავ მექანიზმს; ამავდროულად ებრძვის დაავადების გამომწვევს. ტემპერატურის მატება გამოჯანმრთელების პროცესს უწყობს ხელს, ამიტომ არ უნდა ვეცადოთ მისი დაწევა, სანამ ეს შესაძლებელია.*

ენდეთ თქვენს ინტუიციას: თუ გრძნობთ, რომ ტემპერატურა თქვენს შვილს მეტისმეტად ასუსტებს, მაშინ მიმართეთ სიცხის დამწევ ღონისძიებებს, მაგ. ტერფის საფენები. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი იღებდეს საკმარისი რაოდენობით სითხეს. რადგან, სიცხის დროს ორგანიზმი დიდი რაოდენობით სითხეს კარგავს, ამიტომ ჩვეულებრივ ყოველდღიურად რა მოცულობის წყალსაც სვამს პატარა ახლა ის საკმარისი აღარ არის.

სხეულის ნორმალური ტემპერატურაა 36,5°C-37,5°C. 37,6°C-დან ითვლება, რომ ტემპერატურა მატულობს, 38,5°C -დან მაღალი ტემპერატურაა. ზუსტი ტემპერატურის გაზომვა უმჯობესია ანალურად. სხვა ადგილებში (იღლია, პირი, შუბლი, ყური) გაზომვისას გაითვალისწინეთ, რომ ტემპერატურა 0,5 - 1 °C -ით დაბალია.

* Infludoron® -ის გლობულები ტემპერატურას არ ამცირებს, არამედ ხელს უწყობს იმუნიტეტის მობილიზებას და ტემპერატურის ბუნებრივად რეგულირებას.

ხველა და ხმის ჩახლეჩა

ხველის რეფლექსი ემსახურება სასუნთქი გზების თვითგაწმენდას. ეს არის სხეულის ბუნებრივი პასუხი, სასუნთქ გზებში მოხვედრილ უცხო ნივთიერებებზე, მაგ. როგორიცაა მტვერი, კვამლი, შესუნთქული უცხო სხეული ან სეკრეტი, რომელიც გრიპოზული ინფექციების მიერ გამოწვეული ანთებითი პროცესის შედეგად წარმოიქმნება. გრიპით და გაციებით გამოწვეული ხველების ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები მოქმედებს ანთების საწინააღმდეგოდ და ამცირებს სასუნთქი გზების კუნთების სპაზმებს.

Weleda Hustenelixier - ხველების ელექსირი გვ.15

Weleda Bronchialbalsam - ბრონხიალ ბალზამი გვ.16

Anis-Pyrit - ანის-პირიტი, აფონია (ხმის ჩახლეჩა)..... გვ.17

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Bryonia (ღეშუჰა).

ლეშურას დიდი მოცულობის ფესვს წყლის უხვად დაგროვება შეუძლია, ისე რომ არ ლპება. სამედიცინო მიზნებისთვის მცენარის ეს განსაკუთრებული თვისება ანთების და შეშუპების საწინააღმდეგო მოქმედებაში გამოიხატება.

Weleda Hustenelixier - ხველების ელექსირი

გააჩნია მრავალმხრივი მოქმედება: ამშვიდებს მშრალ ხველას, ხსნის სასუნთქი გზების კუნთების სპაზმებს (ხველის შეტევა), აიოლებს შესქელებული სეკრეტის ამოხველებას.

ლეშურას შემადგენელი კომპონენტები შემოგარსავს ზედა სასუნთქი გზების ანთებულ ლორწოვან გარსებს და ამცირებს ხველის შეტევებს.

ანისული და მცოცავი ბეგქონდარა ხელს უწყობენ შესქელებული ნახველის გათხიერებას და მის იოლ ამოხველებას.

დროზერა და მედგარა ხსნიან სპაზმებს და ხელს უწყობენ ამოხველებას.



Thymus serpyllum / ბეგქონდარა

დოზირება და გამოყენების წესი (სიროფი):

უფროსები და ბავშვები 6 წლის ზევით - ყოველ 3 სთ.ში ერთხელ 5 მლ სიროფი.

1–5 წლამდე ბავშვები - 3-ჯერ დღეში 1,25–2,5 მლ სიროფი მცირე რაოდენობით თბილ ჩაისთან ერთად.

შემადგენლობა: 100 გ (= 76 მლ) შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: 0,6 გ ტუხტის (Althaae) ფესვის წყლიანი ექსტრაქტი _ 5 გ / 0,15 გ ხებალახას (Solanum dulcamara) ღეროების, 0,35 გ ფოლორცის ბალახის

(Marrubium vulgare), 0,5 გ ანისულის (Anisum vulgare) ნაყოფის, 0,35 გ მცოცავი ბეგქონდარას (Serpylli) ბალახის და 2,85 გ ჩვეულებრივი ბეგქონდარას (Thymus vulgaris) ბალახის წყლიანი ნახარში _ 30 გ / დროზერას (Drosera) ხსნარი D2 [D2 – 30% (მ/მ) ეთანოლით] _ 0,1 გ / ალაოს ექსტრაქტი 5 გ /იპეკაკუანას (Ipecacuana) სპირტიანი ნახარში Ø (=D1) 0,1 გ / მედგარას (Pulsatilla vulgaris) ხსნარი D3 0,01 გ.

Weleda Bronchialbalsam - ბრონხიალ ბალზამი

სამკურნალო მცენარეების: ევკალიპტის, კამისა და პიტნის ეთერზეთებს გამათბობელი ეფექტი აქვთ ააქტიურებენ სისხლის მიმოქცევას, შლიან შესქელებულ ლორწოვან სეკრეტს და აიოლებენ სუნთქვას.

დამამშვიდებლად მოქმედებს ძილის წინ მისი გამოყენება, რადგან ამსუბუქებს ხველის სპაზმებს და აიოლებს სუნთქვას.

გაციებით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებების დროს **Weleda Bronchialbalsam**-ით გულმკერდის და ზურგის შეზელვა ან საფენი ეფექტური საშუალებაა სხვა ბუნებრივ წამლებთან კომბინაციაში.

Rosmarin ხოზმახინი

დოზირება და გამოყენების წესი (შეზელვა):

1-2-ჯერ დღეში გულმკერდისა და ზურგის შეზელვა ან საფენი რამდენიმე წვეთი **Weleda Bronchialbalsam**-ით.

არ გამოიყენება 2 წლამდე ასაკის ბავშვებში. 2-5 წლამდე ბავშვებში გამოიყენეთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

შემადგენლობა: 10 გ (=10,9 მლ) შეიცავს: აქტიური ინგრედიენტები: 0,9 გ ევკალიპტის ზეთი / 0,01 გ დიდი კამის ზეთი / 0,24 გ ნაძვის წიწვის ზეთი / 0,11 გ ბაღის პიტნის ზეთი / 0,35 გ როზმარინის ზეთი / 0,08 გ დალმატინური სალბის ზეთი / 0,21 გ ღვიის ზეთი. სხვა ინგრედიენტები: მიწის თხილის რაფინირებული ზეთი, საკმევლის ექსტრაქტი.

აფონია (ხმის ჩახლეჩა) Anis-Pyrit - ანის-პირიტი

გამოიყენება აფონიის (ხმის ჩახლეჩის), ყელისა და ხორხის ანთებითი დაავადებების, ყელის ტკივილის, ყელის სიმშრალის, ბრონქიტის, გამღიზიანებელი ხველის სამკურნალოდ. აფერხებს ანთებით პროცესს და ხსნის ყელის ტკივილს.

პირიტი იცავს სახმო იოგებს და გააჩნია აფონიის საწინააღმდეგო მოქმედება. ანისულის თესლის არომატული ეთერზეთი ააქტიურებს ჯირკვლების სეკრეციას და ხსნის სპაზმებს. ამგვარად, შესქელებული ლორწოვანი სეკრეტი იშლება და იოლდება ამოხველება.

ანისპირიტი გამოიყენება არამხოლოდ გაციებით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებების სამკურნალოდ, არამედ ქრონიკული ყელის სიმშრალის, ხმის ჩახლეჩის, რასაც შესაძლოა პროფესიული საფუძველი ქონდეს (პედაგოგი, მომღერალი...) და გახანგრძლივებული ხველების დროს.

დოზირება და გამოყენების წესი (ტაბლეტები):

მოზრდილები და ბავშვები 6 წლიდან - ყოველ 2 საათში ერთხელ 1 ტაბლეტი პირის ღრუში გასაწუწნად.

2–5 წლამდე 3- 5-ჯერ დღეში 1 ტაბლეტი მცირე რაოდენობით თბილ ჩაიში გახსნილი.

2 წლამდე ბავშვებში არ გამოიყენება.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ 3 ჯერ დღეში 1 ტაბლეტი.

შემადგენლობა: 1 ტაბლეტი შეიცავს: აქტიური სუბსტანცია: ანისული/პირიტის (Anis/Pyrit) ტრიტურაცია D2 (HAB, SV 6) 25 მგ.

[1 გ ანის-პირიტის ურსუბსტანცია შეიცავს: ანისულის (Pimpinella anisum) მოხალული ნაყოფი 0,33 გ / პირიტი (Pyrit) 0,33 გ / მოხალული შაქრის ლერწამი (Saccharum) 0,34 გ.] სხვა ინგრედიენტები: ლაქტოზას მონოჰიდრატი, ხორბლის სახამებელი, კალციუმის ბეჰენატი.

როდის მივმართოთ ექიმს?

- თუ ტემპერატურა აღემატება 39 ºC-ს ან გახანგრძლივდა შემცივნების ეპიზოდები.
- ტკივილის ან სუნთქვის უკმარისობის დროს.
- ტუჩების გახანგრძლივებული ციანოზის შემთხვევაში.
- ჩირქიანი ან სისხლნარევი ნახველის შემთხვევაში.
- თუ ხველა გრძელდება 1 კვირაზე დიდხანს.
- თუ ხველის სპაზმებს შორის ინტერვალი 30 წუთზე მცირეა და ხველის შეტევა 30 წამზე დიდხანს გრძელდება.

რჩევა

გულმკერდის საფენი ბრონხიალბალზამით

წინასწარ შემთბარი ბამბის ქსოვილზე 5–10 წვეთი ბრონხიალბალზამი დავაწვეთოთ და გულმკერდზე დავაფინოთ. ზემოდან შალის სახვევით დავაფიქსიროთ. თუ ბავშვს ცივი ფეხები აქვს, ჩავაცვათ შალის წინდა ან სათბურას საშუალებით გავუთბოთ. არ გამოიყენოთ 2 წლამდე ასაკის ბავშვებთან.

2-5 წლამდე ასაკის ბავშვებთან გამოიყენეთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით

პირველი დახმარება ცრუკრუპის დროს

ცრუკრუპი ბავშვებში 1-2 წლამდე ასაკში ვლინდება, განსაკუთრებით მწვავე ლარინგიტის (ხორხის ანთება) დროს. ცრუკრუპი „მყეფავი“ ხველის შეტევით ხასიათდება და უმეტესად ღამით ვლინდება. თუ ეს პირველად ხდება, მიმართეთ უახლოეს სამედიცინო პუნქტს ან დაუკავშირდით თქვენს ექიმს. აღნიშნული სიმპტომები იშვიათად შეიძლება მწვავე ბაქტერიული ანთების მანიშნებელი იყოს, რომლისთვისაც ექიმი ანტიბიოტიკოთერაპიას ნიშნავს.

ექიმის მოსვლამდე, დაანოტივეთ ჰაერი (მაგ. აბაზანაში მოუშვით დიდი ჭავლით ცხელი წყალი და იქ დაგროვილი ორთქლით ასუნთქეთ). ცხელი წყლის ორთქლი ამშვიდებს სპაზმებს.

სურდო და სინუსიტი

რინორეა (ცხვირიდან ძლიერი გამონადენი), გაჭედილი ცხვირი ან თვალებიდან ცრემლდენა – განსაკუთრებით ხშირია პატარა ბავშვებში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის სასუნთქი გზები მაქსიმალურად ჩქარა გავათავისუფლოთ, რადგან გაჭედილი ცხვირი ხელს უშლის, როგორც ხელოვნური ისე ბუნებრივი კვების პროცესს. სურდოს დროული მკურნალობა ასევე აუცილებელია, რადგან ცხვირიდან ინფექცია სწრაფად ვრცელდება ქვედა სასუნთქ გზებში. აქედან გამომდინარე მკურნალობის მთავარ მიზანს წარმოადგენს შეშუპების მოხსნა, ჭარბი სეკრეციის ნორმალიზება და ანთების ჩაქრობა. ამ გზით ცხვირით სუნთქვა ხდება შესაძლებელი და ინფექციის გავრცელება ფერხდება.

Sinudoron®- სინუდორონი წვეთები

მწვავე მაღალი ტემპერატურით მიმდინარე, ქრონიკული და მორეციდივე სინუსიტის სამკურნალოდ გამოიყენება. აიოლებს ცხვირით სუნთქვას, ხსნის რინორეას (ჭარბი გამონადენი ცხვირიდან), ამცირებს ალერგენებზე მგრძნობელობას.

კოწახურის ნაყოფი ცხვირის ლორწოვანი გარსების ანთების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ვერცხლს და კვარცს გააჩნია, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ისე შეშუპების მომხსნელი და ქსოვილთა მასტრუქტურირებელი თვისებები, ამის გარდა აძლიერებს დამცავ მექანიზმს და ამ გზით აფერხებს მორეციდივე ინფექციებისადმი მიდრეკილებას. კვარცი ლორწოვანი გარსების ბარიერულ ფუნქციას აუმჯობესებს, რაც ამცირებს ალერგიულ ფონს.

დოზირება და გამოყენების წესი (წვეთები):

6 წლიდან და მოზრდილები - 3-ჯერ დღეში 10–15 წვეთი. **ჩვილები და 6 წლამდე ბავშვები** - 3-ჯერ დღეში 5-10 წვეთი წყლით დასალევად.

შემადგენლობა 10 g (= 10,2 ml) შეიცავს მოქმედ ნივთიერებებს: (მეტალური ვერცხლი) Argentum metallicum praeparatum Dil. D20 3,34 g / (კოწახურის ნაყოფის ეთანოლური გამონაწვლილი) Berberis, Fructus Dil. D3 3,34 g/(მთის ბროლი) Quarz Dil. D12 3,34 g.

როდის მივმართოთ ექიმს სურდოსა და სინუსიტის დროს?

- თუ ცხვირით სუთქვა სურდოს გამო გაძნელებულია და შედეგად ჩვილის კვება მკვეთრად შეზღუდულია
- თუ სურდო გახანგრძლივდა ან ხშირად ავადობს ბავშვი.
- თუ ტემპერატურა 39ºC-საღემატებაანგახანგრძლივებულია შემცივნების ეპიზოდები.
- შუბლის მიდამოში ზეწოლის შეგრძნებისა და ტკივილის დროს
- ჩირქიანი და სისხლიანი სეკრეტის დროს.

რჩევა

დედის რძის დამცავი თვისებები სურდოს დროს

თუ დედა მეძუძურია, შეუძლია რამდენიმე წვეთი რძე ჩვილს ნესტოებში ჩააწვეთოს: დედის რძეში შემავალი იმუნიტეტის გამაძლიერებელი ნივთიერებები აიოლებენ ცხვირით სუნ-თქვას და ანთების საწინააღმდეგო თვისებები აქვთ.

ყურის ტკივილი

ყურის ტკივილს ხშირად წინ უძღვის სურდო. თუ პათოგენები შეაღ-წევენ ცხვირხახიდან შუა ყურში, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ შუა ყურის ანთება ყურის ტკივილით და ცხელებით. იმის გამო, რომ ბავშვებში სასმენი მილი ჯერ კიდევ საკმაოდ მოკლეა, შუა ყურის ინფექციები უფრო ხშირად სწორედ მათთან გვხვდება, ვიდრე მოზრდილებში; განსაკუთრებით ხშირად ავადდებიან 2 წლამდე ბავშვები. დაავადების შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად შუა ყურის ინფექცია ყოველთვის კარგად უნდა განიკურნოს - ამიტომ ყოველთვის მიმართეთ ექიმს.

რჩევა

ხახვის ტომსიკა

ძლიერი ყურის ტკივილის და შუა ყურის ანთების დროს, ხახვის ტომსიკის გამოყენება ჩვილობის ასაკიდან ტრადიციული მეთოდია. საშუალო ზომის ხახვი წვრილად დაჭერით, თხელ ნაჭერში გაახვიეთ, სხეულის ტემპერატურამდე გაათბეთ, ბავშვს ყურის გარშემო შემოახვიეთ, დააფარეთ შალის ნაჭერი და თბილად შეუხვიეთ. ხანგრძლივობა: 30 წთ და მეტი. შეიძლება დღეში რამდენჯერმა გაკეთება.

კარგია იცოდეთ

ყურის ტკივილის დროს მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა ცხვირიდან თავისუფლად ისუნთქოს. რადგან გაჭედილი ცხვირის დროს, სეკრეტები გროვდება და ყურის ტკივილს აძლიერებს.

გვირილის ტომსიკა ყურის ტკივილის დასაამებლად

მსუბუქი ტკივილისა და შუა ყურის ანთების დროს, გვირილის მშრალი ყვავილების ერთი პეშვი მოათავსეთ თხელი ნაჭრის ტომსიკაში და გააცხელეთ სათბურათი. ამ ხერხით გათბობისას ეთერზეთებს უკეთ შეინარჩუნებთ. კარგად გამთბარი ტომსიკა ბავშვს ყურზე დაადეთ, ზემოდან მატყლის ან ბამბის ქულა დააფარეთ და თავსაფრით კარგად შეუხვიეთ. გვირილის ტომსიკის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება. როცა სუნი გაუქრება, ახლით შეცვალეთ.

ხანგრძლივობა: 30 წთ ან მეტი.

პოლინოზი

პოლინოზი ალერგიული დაავადებაა, რომელიც ცხვირის ღრუსა და თვალის ლორწოვან გარსებში ვლინდება: ხის, ბალახის, ყვავილის მტვრის, ასევე ცხოველის ბეწვის ან სახლის მტვრის მიმართ მომატებული რეაქციით. მოხვდება რა ალერგენი თვალისა და ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსებში, ორგანიზმი „გადაჭარბებით“ რეაგირებს და სრულიად უვნებელი ნივთიერებების მიმართ იმუნურ პასუხს იძლევა. იწყება ცემინება, ცხვირისა და თვალების წვა და ქავილი, ცრემლდენა, ალერგიული სურდო, რომელსაც ახასიათებს უხვი გამონადენი ცხვირიდან. ბავშვებთან ხშირია დაღლილობა, ცუდი განწყობა, ზოგადი მდგომარეობის გაუარესება.

Weleda Heuschnupfenspray - ჰოიშნუპფენსპრეი გვ.22

Euphrasia D3 Augentropfen - ევფრაზიას თვალის წვეთები გვ.23

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Citrus limon (ლიმონი)

ლიმონის ნაყოფის 90 პროცენტი წვენისგან შედგება და ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს. ლიმონის წვნიანი ნაყოფი დაფარულია სქელი დამცავი ქერქით.

თერაპიული თვალსაზრისით, ლიმონმჟავას შემკვრელი თვისება და ლიმონის ნაყოფის მორფოლოგიური აგებულება არეგულირებს ცხვირის ლორწოვან გარსში ჰიპერსეკრეციას და ნორმის საზღვრებში აბრუნებს.

ბუნებრივი და ეფექტური Weleda Heuschnupfenspray -ჰოიშნუპფენსპრეი

მნიშვნელოვნად ამცირებს პოლინოზის სიმპტომებს: აცხრობს შეშუპებულ ლორწოვან გარსებს, ხსნის რინორეას და ქავილის შეგრძნებას.

კომშის ექსტრაქტი ამცირებს ანთებას და გაღიზიანებას. ის ეხმარება ლორწოვან გარსს ბარიერული ფუნქციის გაძლიერებაში და ამით ანიჭებს მათ რეზისტენტობას ალერგენების მიმართ. ლიმონის ნაყოფის გამონაწვლილი ლორწოვანზე მოქმედებს შემკვრელად და ხსნის უსიამოვნო რინორეას.

ჰოიშნუპფენსპრეი იოლად მოსახმარია, კარგად აიტანება და შეიძლება მისი ხანგრძლივად გამოყენება - ლიმონისა და კომშის ბუნებრივი აქტიური ნივთიერებები ზედმეტად არ ტვირთავენ სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ორგანიზმს.

დოზირება და გამოყენების წესი:

12 წლიდან 2-3-ჯერ დღეში 1–2 შესხურება ნესტოებში. **6–11 წლამდე** 2-3-ჯერ დღეში 1 შესხურება ნესტოებში.

შემადგენლობა: 10გ (10მლ) შეიცავს: ლიმონის წვენი 80-120 მგ (შეესაბამება 6,5 მგ ლიმონმჟავას)/300 მგ კომშის ნედლი ნაყოფის წყლიანი გამონაწვლილი. ასევე: ნატრიუმის ქლორიდი და საინექციო წყალი.

გაღიზიანებული თვალის ლორწოვანი გარსი და კონიუნქტივიტი. სწრაფი და ეფექტური დახმარება ანთების, თვალის სიწითლის და ცრემლდენის დროს. Euphrasia D3 Augentropfen - ევფრაზიას თვალის წვეთები

ხსნის თვალის სიწითლეს, წვას, ცრემლდენას და ქავილს კორ-დისკბილას ექსტრაქტი სწრაფად უმკლავდება კონიუნქტივიტს.

არ შეიცავს კონსერვანტებს.

გამოიყენება 0 ასაკიდან.

დოზირება და გამოყენების წესი (თვალის წვეთები):

3-ჯერ დღეში 1 წვეთი თვალში ჩასაწვეთებლად.

შემადგენლობა: 10,1გ (=10მლ) შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: კორდისკბილას (Euphrasia) 3ც ხსნარი D3 10 გ. სხვა ინგრედიენტები: ბორის მჟავა, ნატრიუმის ტეტრაბორატი. იზოტონიზებულია კალიუმის ნიტრატით.

როდის მივმართოთ ექიმს?

- ჩივილების გაჩენისას – დიაგნოზის დასმის მიზნით.
- სუნთქვის უკმარისობისას.
- თუ ცხვირის სპრეის (6 წლიდან ზემოთ) და თვალის წვეთების გამოყენების მიუხედავად ბავშვს ჩივილები 2 დღეზე დიდხანს გაუგრძელდა.

რჩევა

- დასასვენებლად აირჩიეთ ადგილი, სადაც უხვად არ იქნება მცენარის მტვერი (მთაში, ზღვაზე).
- თავი აარიდეთ ქარში გარეთ გასვლას
- ბავშვის ოთახი განათავსეთ ქარისგან დაცულ მხარეს.
- ცხვირი ფრთხილად მოწმინდეთ პატარას. ძლიერი მოხოცვისას, ალერგენი უფრო ღრმად აღწევს სასუნთქ გზებში.
- გარეთ ნაცვამი ტანსაცმელი არ დატოვოთ ბავშვის ოთახში.
- მწვავე პოლინოზის დროს, ძილის წინ ბავშვს დაბანეთ თმა.
- არ გააშროთ ბავშვის სამოსი გარე სივრცეში.
- მზის სათვლე დაიცავს ბავშვს ალერგენებისგან.

თვალის დაავადებები

თვალის „სიწითლის“ მიზეზი უმეტესად კონიუნქტივიტია - თვალის ლორწოვანი გარსის ანთება. დამახასიათებელი სიმპტომებია: თვალის წვა და ქავილი, შეიძლება თან ახლდეს თვალში უცხო სხეულის შეგრძნება. თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანება და ანთება შესაძლოა გრიპოზულ ინფექციების დროსაც განვითარდეს, ასევე ქლორიანი წყლის (აუზი), ცივი ქარის, ბაქტერიების, ვირუსების, ალერგენების ან უცხო სხეულის თვალში მოხვედრის დროს.

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Euphrasia (კოხდისკბილა)

აქრობს ანთებას და ლორწოვანი გარსის გაღიზიანებისას ამცირებს ტკივილს. ის ლორწოვანში გაჩენილ „უცხო ორგანიზმებს“ ასუსტებს და აფერხებს მათ ზრდას.

გაღიზიანებული თვალის ლორწოვანი გარსი და კონიუნქტივიტი. სწრაფი და ეფექტური დახმარება ანთების, თვალის სიწითლის და ცრემლდენის დროს. Euphrasia D3 Augentropfen - ევფრაზიას თვალის წვეთები

ხსნის თვალის სიწითლეს, წვას, ცრემლდენას და ქავილს კორდის-კბილას ექსტრაქტი სწრაფად უმკლავდება კონიუნქტივიტს. **არ შეიცავს კონსერვანტებს. გამოიყენება 0 ასაკიდან.**

დოზირება და გამოყენების წესი (თვალის წვეთები): 3-ჯერ დღეში 1 წვეთი თვალში ჩასაწვეთებლად.

შემადგენლობა: 10,1g (=10მლ) შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: კორდისკბილას (Euphrasia) ხსნარი D3 10 g. სხვა ინგრედიენტები: ბორის მჟავა, ნატრიუმის ტეტრაბორატი. იზოტონიზებულია კალიუმის ნიტრატით.

ბლეფარიტისა და ჯიბლიბოს სამკურნალო თვალის მალამო Visiodoron Euphrasia comp. Augensalbe - ვიზიოდორონ ევფრაზია კომპ. თვალის მალამო

ჯიბლიბო (Hordeolum) ვითარდება როგორც რეაქცია საცრემლე ჯირკვლის მწვავე ბაქტერიულ ანთებაზე. პირველი ნიშანი არის ცალმხრივი, მარცვლის მაგვარი, წითელი შეშუპება ქუთუთოს კიდეზე.

მალამოში შემავალ კორდისკბილას გამონაწვლილს აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და ხსნის დამახასიათებელ სიმპტომებს: ტკივილი, წვა, ქავილი. გულყვითელა და ეხინაცეა აფერხებს ანთებით პროცესს და ააქტიურებს რეგენერაციას. ამავდროულად ეხინაცეა ასტიმულირებს იმუნურ სისტემას და თრგუნავს ანთების გამომწვევი ბაქტერიების აქტივობას. დოზირება და გამოყენების წესი (თვალის მალამო): რამდენჯერმე დღეში კონიუნქტივალურ პარკში ან ქუთუთოზე წასასმელად. დღის განმავლობაში გამოიყენეთ ვიზიოდორონ ევფრაზია D3 თვალის წვეთები, ხოლო ღამით ვიზიოდორონ ევფრაზიას კომპოზიცია თვალის მალამო.

არ შეიცავს კონსერვანტებს. **გამოიყენება 0 ასაკიდან.**

შემადგენლობა: 1g შეიცავს: აქტიური ინგრედიენტები: ექინაცეას დედო ნაყენი Rh Ø (HAB, V. 21) 0,03 g / კორდისკბილას დედო ნაყენი Rh Ø (HAB, V. 21) 0,05 g; კალენდულას პარაფინიანი ექსტრაქტი (HAB, V. 57) 0,05 g. მალამოს ფუძე: თეთრი ვაზელინი, ბლანტი პარაფინი, ქოლესტერინი, საინექციო წყალი.

როდის მივმართოთ ექიმს?

- თუ კონიუნქტივიტი ჩირქოვანია.
- თვალის სიწითლისა და წვის დროს: თუ ორდღიანი მკურნალობის შედეგად მდგომარეობა არ უმჯობესდება.
- თვალის ძლიერი ტკივილის ან ცალმხრივად ძლიერი გაწითლების დროს, რადგან შესაძლოა სხვა დაავადების სიმპტომს წარმოადგენდეს. ამ შემთხვევებში მიმართეთ ოფთალმოლოგს.

რჩევა

თვალის წვეთების გამოყენების მარტივი წესი

რიგ შემთხვევებში გაღიზიანებულ თვალში ჩაწვეთება რთულია. ასეთ შემთხვევაში დახუჭულ თვალზე ცხვირის მხარეს ვაწვეთებთ თვალის წვეთს და ის თავისთავად ჩაიჟონება თვალში.

თვალის დაცვა

- თვალი დაიცავით კაშკაშა სინათლისა და შემხვედრი ქარისგან ამისთვის მზის სათვალე კარგი საშუალებაა
- ბავშვისთვის გამოიყენეთ სხეულის ტემპერატურამდე შემთბარი წამალი ჩასაწვეთებლად, რომ თვალის ტკივილი არ გაძიერდეს (მაგ. ხელში დაიკავეთ დიდხანს, ან ჯიბეში, ან თბილ ტილოში შეახვიეთ გამოყენებამდე)

ჰიგიენის მნიშვნელოვანი ღონისძიებები

- ინფექციური კონიუნქტივიტის დროს გაითვალისწინეთ შემდეგი: დაავადების გამომწვევი თვალიდან ხელზე ადვილად ხვდება, ხშირად დაიბანეთ ხელი საპნით და ცვალეთ პირსახოცი.
- თვალის ჰიგიენისთვის დაანოტივეთ ბამბის ნაჭერი გადადუღებული წყლით ან 0,9% ნატრიუმის ქლორიდით (შეიძენთ აფთიაქში). თვალი გაწმინდეთ გარედან შიგნით (ცხვირისკენ) მიმართულებით, რადგან შიგნიდან გარეთ მიმართულებით გაწმენდისას არის საფრთხე, რომ ინფექცია თვალში მიიმალოს.
- თვალიდან ცრემლის მოსაშორებლად, მხოლოდ ერთ-ჯერადი ხელსახოცი გამოიყენეთ.

კანის დაავადებები

ბავშვის კანი განსაკუთრებით ნაზი და მგრძნობიარეა, წვა ან ტკივილი არამხოლოდ ფიზიკურად უქმნის დისკომფორტს, არამედ უარყოფითად აისახება მის ემოციურ მდგომარეობაზეც. თუ კანი მზის ან თერმული დამწვრობის გამო, ან ჭრილობის, ან მწერის ნაკბენისგან ზიანდება, ტკივილის შემცირებასთან ერთად სწრაფი განკურნება ძალიან მნიშვნელოვანია - რათა მაქსიმალურად ჩქარა აღდგეს კანის, როგორც დამცავი ბარიერის და გრძნობის ორგანოს ფუნქცია. ველედას ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები უზრუნველყოფს თვითგანკურნების გააქტიურებას, ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას და რეგენერაციას.

Combudoron® Gel - კომბუდორონი ჟელე გვ.30

Weleda Calendula-Essenz - კალენდულას ესენცია გვ.34

Weleda Calendula Wundsalbe - კალენდულას ჭრილობის მალამო გვ.35

Dermatodoron® Salbe - დერმატოდორონი მალამო გვ.38

მზის დამწვრობა და მწერის ნაკბენები

ბავშვებში უფრო სწრაფად ვითარდება მზის დამწვრობა. ბავშვის კანს არ გააჩნია სრულფასოვანი დამცავი ფუნქცია UVA- და UVB-სხივებისაგან. განსაკუთრებით პატარა ასაკში დაუშვებელია ბავშვის პირდაპირი მზის სხივების ქვეშ ყოფნა.

ბუნებაში თამაშის დროს, ხშირია მწერებისგან დაკბენა. ანთების გამომწვევი მწერის შხამი მოხვდება რა კანის ქსოვილში იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას. პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად თუ ბავშვი მიიღებს მზის დამწვრობას ან მას მწერი უკბენს, ველედას ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების გამოყენება მოუხსნის ტკივილს, სიწითლეს, შეშუპებას, ქავილს და უზრუნველყოფს კანის სწრაფ რეგენერაციას.

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Urtica urens (პატარა ჭინჭარი)

ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე 10-45 სმ-მდე იზრდება. მისი მსუსხავი ბუსუსით დაფარული ღერო და ფოთლები შეიცავს მცირე რაოდენობით ჭიანჭველამჟავასთან ერთად აცეტილ-ქოლინს და ჰისტამინს, რომელიც კანის ტიპურ რექციას იწვევს. ასევე შეიცავს ფლავონოიდებსა და კაროტინოიდებს; ფესვებში სხვადასხვა გლიკოზიდები მოიპოვება. ჭინჭრის ექსტრაქტი ხსნის დამწვრობის ტკივილს და აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ამ თვისებებიდან გამომდინარე მისი ექსტრაქტი გამოიყენება მსუბუქი დამწვრობის სამკურნალოდ.

Combudoron® Gel- კომბუდორონი ჟელე

გამოიყენება მზით ან მსუბუქი თერმული დამწვრობის, მწერის ნაკბენების სამკურნალოდ. კომბუდორონის მყისიერი გამოყენება მომენტალურად აგრილებს, ხსნის ტკივილს და ქავილს. ჭინჭრისა და არნიკას გამონაწვლილები აცხრობს შეშუპებას და ანთებას, ბუნებრივად ააქტიურებს კანის რეგენერაციას. დაზიანების პირველ საათებში ხშირად უნდა დაიტანოთ კანზე. იდეალურია სამოგზაურო აფთიაქისთვის, პიკნიკსა და აუზზე წასაღებად .

დოზირება და გამოყენების წესი (ჟელე): კანის დაზიანებულ უბანზე თხლად დაიტანეთ და შეიშრეთ. გამოიყენეთ ტკივილის სრულ გაქრობამდე. შეხვევის აუცილებლობის შემთხვევაში, ნახვევი მხოლოდ შემშრალ ჟელეზე დაიდეთ.

შემადგენლობა: 10გ. შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: არნიკას (Arnica montana) მთელი მცენარის სპირტიანი ექსტარქტი [ნედლი მცენარის შეფარდება ექსტრაგენტებთან 1:1,1; ექსტრაგენტები: 94% (მ/მ) ეთანოლი, გამოხდილი წყალი (6,3 : 4,7)] 0,05 გ / ჭინჭრის (Urtica urens)) ბალახის დედო ნაყენი Ø (HAB, V. 2ბ) 0,95 გ.

ჟელეს ფუძე: 85% გლიცერინი, 96% ეთანოლი, ნატრიუმის ალგინატი, გამოხდილი წყალი.

როდის მივმართოთ ექიმს მზით დამწვრობისას?

- კანის ძლიერი დამწვრობისას ბუშტუკების წარმოქმნით (ხარისხი II).
- ღებინების, სისხლის მიმოქცევის მხრივ ჩივილების, შემცივნების, ტემპერატურის მატების ან ცნობიერების გაურესების დროს.

რჩევა!

როგორ ავარიდოთ თავი მზის დამწვრობას

- ჩვილი და მცირეწლოვანი ბავშვები მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. თუ ჩრდილში არ თამაშობენ, თავზე აუცილებლად დაახურეთ ქუდი, შემოსეთ მსუბუქი, ბუნებრივი ქსოვილის ტანსაცმლით და მაქსიმალურად დაუფარეთ სხეული. გამოიყენეთ მზისგან დამცავი ბუნებრივი საშუალებები მაგ. ველედას ედელვაისის მზისგან დამცავი კრემი.
- მზის გამოსხივება განსაკუთრებით ინტენსიურია ზღვაზე და მთაში. მოღრუბლულ ამინდშიც კი სწრაფად ვითარდება დამწვრობა. აქ მუდამ გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი დაცვის მაღალი ფაქტორით.

როდის მივმართოთ ექიმს მწერის ნაკბენის შემდეგ?

- თუ აღმოცენდებაალერგიულირეაქცია. შესაძლოგამოვლინებებია: სუნთქვის უკმარისობა, ქავილი, შეშუპება მთელი სხეულის მასშტაბით.
- თუ მწერი პირის ღრუში მოხვდება და გიკბენთ, შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი გზების შეშუპება
- თვალზე კბენისას
- თუ არ ემორჩილება მკურნალობას და ვითარდება ანთება

მწერის ნაკბენის პროფილაქტიკა

- გამოიყენეთ ბუნებრივი ეთერზეთების შემცველი აეროზოლები
- შემოსეთ ბავშვი ბამბის ჰაერგამტარი გრძელი სამოსით

დათუთქვა და დამწვრობა

დამწვრობის უმეტესობა საყოფაცხოვრებო ხასიათისაა. ცხელი საგნით თერმული დაზიანება არის დამწვრობა, ხოლო წყლის ორთქლით ან წყლით დამწვრობა კი დათუთქვა. დამწვრობის სიმძიმე იზომება არა მხოლოდ ხარისხით, არამედ მასშტაბითაც (სხეულის ზედაპირთან მიმართებით). კანის დაზიანების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სწრაფი რეაგირება: პირველ რიგში, უნდა შეიზღუდოს ანთებითი პროცესები და შემცირდეს ტკივილი; შემდეგ უნდა მოხდეს დაზიანებული ქსოვილისგან გათავისუფლება და კანის რეგენერაციის ხელშეწყობა.

როდის მივმართოთ ექიმს დამწვრობისა და დათუთქვის დროს?

- ჩვილებში დამწვრობის წყლულების გაჩენის დროს.
- სახის დამწვრობის დროს.
- როდესაც სამოსი შეწებებულია დამწვარ ადგილებს (საჭიროა ოპერატიული მოქმედება).
- თუ დამწვრობის ხარისხია II ან მეტი (სიწითლე და ბუშტების წარმოქმნა).
- თუ დამწვარი არე აღემატება სხეულის ზედაპირის მოცულობის 5 % -ს (ბავშვის ხელი შეესაბამება სხეულის მოცულობის 1 % -ს, ხოლო მკლავი 9 %-ს).
- ინფექციის ნიშნების დროს.

დამწვრობის მასშტაბი

დამწვრობის ფართობის განსაზღვის წესი: ხელის ზედაპირი შეესაბამება სხეულის ფართობის 1%-ს.

სიცოცხლისთვის სახიფათოა მე-2 და მე-3 ხარისხის დამწვრობა, რომელიც ზრდასრულთათვის სხეულის ზედა-პირის ფართობის 10 %-ს აღემატება. ხოლო ბავშვებში კი 5 % -ს.



პირველი დახმარება დამწვრობის დროს:

- მსუბუქი დამწვრობის დროს გააგრილეთ დამწვარი არეალი გამდინარე ცივი წყლის ჭავლით, სანამ ტკივილი არ შემსუბუქდება. ეს ამცირებს არამხოლოდ ტკივილს არამედ ბუშტუკების განვითარების რისკს. მყისიერი ცივი წყლის შხაპი ზრდის ტემპერატურული შოკის რისკს.
- არასოდეს წაისვათ ახლად დამწვარ კანზე მალამოები, კრემები ან სხვა საშუალებები. ყოველთვის პირველ რიგში გააგრილეთ.
- ტანსაცმელი ფრთხილად შემოაცილეთ. დამწვარ ადგი-ლას შეწებების შემთხვევაში ტანსაცმელი თავად არ მოაცილოთ.

დამწვრობის ოთხი ხარისხი არსებობს:

I ხარისხი:
კანი წითელი, შეშუპებული და მტკივნეულია. შეხორცების შემდეგ ნაწიბურები არ რჩება.

II ხარისხი:
ეპიდერმისი ზიანდება და წარმოქმნის ბუშტუკებს. ნაწიბურები არ რჩება.

III ხარისხი:
ნაწილობრივ ნადგურდება კანის ღრმა ფენები, შეხორცების მერე რჩება ნაწიბურები.

IV ხარისხი:
ქსოვილები ნახშირდება; საჭიროა კანის გადანერგვა.

ჭრილობის დამუშავება

ბავშვებში ხშირია კანის მცირე დაზიანებები ბუნებაში გასვლისას, თამაშებისა და სპორტის დროს. ბევრი მშობლის დღის წესრიგში დგას პირველადი დახმარება იდაყვისა და მუხლების გადაყვლეფისას. როდესაც კანი ზიანდება, ორგანიზმი საკუთარ თავს თავად ეხმარება: კანის დაზიანებულ ადგილზე ჩნდება ფუფხი, რომელიც ფარავს ჭრილობას და იცავს მას ანთებისა და ინფექციისგან. გაზრდილი მეტაბოლიზმი ხელს უწყობს კანის ქსოვილის რეგენერაციას. კალენდულას ექსტრაქტი კი გამოიყენება ჭრილობების შეხორცების გასამარტივებლად და გასაუმჯობესებლად.

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Calendula officinalis (გულყვითელა)

საუკუნეებია ცნობილი თავისი ჭრილობების შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. მისი სამკურნალო თვისებები შეისწავლა ჰილდეგარდ ფონ ბინგენმა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში და ეფექტურადაც იყენებდა მას სამონასტრო მედიცინაში. დღეს გულყვითელას მრავალფეროვანი ინგრედიენტები, როგორიცაა: ფლავონოიდები და კაროტინოიდები, კარგად არის შესწავლილი. ანთების საწინააღმდეგო და კანის აღმდგენი ეფექტი სწორედ მათი დამსახურებაა.

კანის სისხლმდენი დაზიანებების პირველადი დამუშავება კალენდულას ესენციით - Weleda Calendula-Essenz

კალენდულას ესენცია გამოიყენება ღია ჭრილობების გასაწმენდად და პირველადი დახმარების გასაწევად - განსაკუთრებით მაშინ, თუ ჭრილობა უსწორმასწოროა და დაბინძურებულია. კალენდულას აქვს ანთების საწინააღმდეგო ეფექტი და ხსნის შეშუპებას, აფერხებს მიკრობების ზრდას და ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფ შეხორცებას. მისი გამოყენება ასევე რეკომენდებულია ჭრილობებისთვის, რომლებიც ძნელად ხორცდება ან დაჩირქებისკენაა მიდრეკილი. პირის ღრუს სავლების სახით, განზავებული კალენდულას ესენცია აფერხებს და ხსნის ღრძილებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებას.

დოზირება და გამოყენების მეთოდი (ნაყენი): ჭრილობების შესახვევად და მოსაბანად დაუმატეთ 1-2 ჩაის კოვზი ველოდას კალენდულას ესენცია 1/4 ლიტრ ანადუღარ გრილ წყალს. **პირში სავლებად** - ½ ჩ.კ. ესენცია დაამატეთ ½ ქიქა ანადუღარ თბილ წყალს.

კალენდულას ჭრილობის მალამო Weleda Calendula Wundsalbe - გამოიყენება 0 ასაკიდან.

გულყვითელას ექსტრაქტს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, რეგენერაციის ხელშემწყობი თვისებები. გამოიიყენება საფენისმიერი დერმატიტის, კანის ჭრილობებისა და ზედაპირული ნაკაწრების სამკურნალოდ.

გაღიზიანებული საფენქვეშა არე

ჩვილის კანი 5-ჯერ თხელია, ვიდრე ზრდასრულის კანი. მისი დამცავი ბარიერი, რომელმაც გარე დამაზიანებელი ფაქტორებისგან უნდა დაიცვას, არ არის სრულფასოვნად ჩამოყალიბებული. საფენის ხშირი გამოცვლა, სიმშრალე და მოვლა პრევენციულად იცავს საფენქვეშა მიდამოში კანს გაღიზიანებისგან. მიუხედავად ზრუნვისა და მოვლისა შესაძლოა კანის სიწითლე და ანთება მაინც განვითარდეს. სითბო და სინესტე ერთდროულად ხელსაყრელ პირობას ქმნის საფენქვეშა მიდამოში ჩვილის ნაზი კანის გასაღიზიანებლად, მიკრობთა ზრდისა და შედეგად ანთების განვითარებისთვის.

გულყვითელას გამონაწვლილით დამზადებული **კალენდულას ჭრილობის მალამო** ააქტიურებს განკურნების პროცესებს და თრგუნავს ანთების გამომწვევი მიკრობების ზრდას. მალამო ხელს უწყობს დაზიანებული კანის რეგენერაციას.

დოზირება და გამოყენების მეთოდი (მალამო): დღეში რამდენჯერმე დაზიანებულ კანზე წასასმელად.

რჩევა

როდის მივმართოთ ექიმს საფენქვეშა არეს გაღიზიანების დროს?

- თუ ჩნდება ერთეული დიდი სიწითლეები, რომელიც გარშემორტყმულია ბუშტუკოვანი, ჩირქოვანი გამონაყარით კანზე. ეს შესაძლოა ბაქტერიულ ინფექციაზე მიგვანიშნებდეს.
- თუ გაღიზიანებული არე მიუხედავად მოვლისა და მკურნალობისა 2 დღეში არ უმჯობესდება.
- თუ პირის ღრუში თეთრ ლაქებს შეამჩნევთ. ამ შემთხვევაში კანდიდოზია გამომწვევი მიზეზი.
- საფენქვეშა მიდამოში კანის გაღიზიანების პრევენციისთვის შეგიძლიათ გულყვითელას ფლეგე კრემი (თუთიის გარეშე) გამოიყენოთ.

სიწითლისა და გაღიზიანებული კანის მოსავლელად კი იდეალურია გულყვითელას საფენქვეშა მალამო. ბუნებრივი ინგრედიენტები, როგორიცაა ცვილი და თუთიის ოქსიდი იცავს კანს სინოტივისგან. გულყვითელა ამშვიდებს კანს, ნუშის და სეზამის ზეთები ნაზად უვლის და ააქტიურებს კანის რეგენერაციას.

საფენქვეშა მიდამოში ჯანსაღი კანის შესანარჩუნებლად:

- ბანაობის შემდეგ ბავშვი გულდასმით გაამშრალეთ, განსაკუთრებით საყურადღებოა ნაკეცების ზონები
- სუფთა ჰაერი სასარგებლოა: შეძლებისდაგვარად ხშირად მოაშიშვლეთ ჩვილი.
- საფენქვეშა არის მოსავლელად არ გამოიყენოთ პუდრი – დასველების შემდეგ პუდრი ერთად იკვრება, მკვრივდება და შესაძლოა ჩვილის ნაზი კანი ადვილად დააზიანოს.
- თუ ბავშვის კანი ზედმეტად მგრძნობიარეა, გამოიყენეთ ბუნებრივი ბამბის საფენები.

კარგია იცოდეთ

პირველი დახმარება პატარა ზედაპირული ჭრილობებისას:

- ანთების თავიდან ასაცილებლად სწრაფად გაასუფთავეთ ჭრილობა
- დიდი ფართობის ღია ჭრილობები სტერილური საფენით დაფარეთ და დააფიქსირეთ
- ახალ ჭრილობაზე არ დაიტანოთ მალამო
- ძლიერი სისხლდენის დროს მჭიდრო ნახვევით დააფიქსირეთ და შეზღუდეთ მოძრაობა

ნეიროდერმიტი და ეგზემა

დასავლური ინდუსტრიალიზაციის რეგიონებში ნეიროდერმიტი სულ უფრო მეტად ვლინდება: 3 დან 11 წლამდე ასაკის ყოველი მეათე ბავშვი ნეიროდერმიტით არის დაავადებული. კანის ამ ქრონიკულ-ანთებითი დაავადების გამომწვევი, რომლის საფუძველი ალერგიული რეაქციაა, ძალიან მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. დიდ როლს თამაშობს ფაქტორები, როგორიცაა კვება და მონელება, გარე სამყაროში არსებული გამღიზიანებლები, გენეტიკური განწყობა, იმუნური სისტემის მდგომარეობა და სხვა მრავალი.

კანი არის სულის სარკე: კანის ალერგიული დაავადებები შესაძლოა იმის ნიშანი იყოს, რომ ბავშვი ფსიქო-ემოციურ დონეზე ზედმეტად „ღიაა“ გარე გამღიზიანებლების მიმართ, არ აქვს დამცავი ბარიერი და კანის ზედა ფენებში მდებარე თავისუფალი ნერვული დაბოლოებები ზემგრძნობიარეა.

კანის ძლიერი ქავილი შესაძლოა იყოს ნეიროდერმიტის პირველი სიმპტომი, ისევე როგორც გამომშრალი, გაუხეშებული კანი. ქავილი თავდაპირველად თავის რეგიონში ვითარდება, შემდეგ ასაკის მატებასთან ერთად გადადის კიდურის სახსრის სახრელებში. 0-3 წლამდე ეგზემა მეტად სველია, მოგვიანებით კი ხდება მშრალი და აქერცვლადი.

ნეიროდერმიტის დიაგნოზს სვამს ექიმი.

Dermatodoron® Salbe - დერმატოდორონი მალამო

დერმატოდორონში შემავალი სამკურნალო მცენარეთა გამონაწ-ვლილი კანის ნივთიერებათა ცვლას აწესრიგებს და ღია ჭრილობებს (ნაკაწრები ქავილისგან) აშუშებს.

ლიზიმახია ააქტიურებს შეხორცებას, ხელს უწყობს კანის რეგე-ნერაციას და იცავს კანის ზედაპირს გარემოს უარყოფითი გავლენისაგან.

ძაღლყურძენა ხსნის ანთებას. დამატენიანებელი მალამო აძლი-ერებს კანის ბარიერულს ფუნქციას და იცავს მას გამოშრობისგან. ასევე გამოიყენება კორტიკოსტეროიდებით მკურნალობის შემდეგ.

დოზირება და გამოყენების წესი (მალამო):

1-2-ჯერ დღეში კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად

Lysimachia nummularia
(ლიზიმახია)

შემადგენლობა 10გ შეიცავს მოქმედ ნივთი-ერებებს: 1გ ძაღლყურძენას ყვავილების გლიცერინიანი გამონაწვლილი / 1გ ლიზიმახიას გლიცერინიანი გამონაწვლილი

მალამოს ფუძე: სეზამის რაფინირებული ზეთი, მატყლის ცვილი, ყვითელი სანთელი, ცვილის სპირტები, გამოხდილი წყალი.

როდის მივმართოთ ექიმს?

- როცა ქავილისგან ბავშვს კანზე სისხლიანი ნაკაწრები უჩნდება, ეს შეიცავს ბაქტერიული ინფექციის საფრთხეს.
- ეგზემისუკან შესაძლოა სხვა დაავადებები იყოს შეფარული. მიმართეთ ექიმს სწორი დიაგნოზის დასასმელად.

რჩევა!

კანის მოვლა ნეიროდერმიტის დროს

ჩვილებისთვის განკუთვნილი ველედას ტუხტის სერია განსა-კუთრებით შეესაბამება მგრძნობიარე კანის მოთხოვნებს და იდეალურია ყოველდღიური მოვლისთვის. მისი უსაფრთხოება დადასტურებულია დერმატოლოგიურად.

გამოიყენება ზედმეტად მგრძნობიარე და ნეიროდერმიტისკენ მიდრეკილი კანის ყოველდღიური მოვლისათვის. ხელს უწყობს კანზე ჭრილობების შეხორცებას, კანის რეგენერაციას და ხსნის ეგზემატოზურ დერმატიტს. განსაკუთრებით ეფექტურია სველი ეგზემის სამკურნალოდ.

კვება ნეიროდერმიტის დროს

გამოჯანმრთელების პროცესის ხელშესაწყობად, შესაბამისი და სრულფასოვანი კვება ძალიან მნიშვნელოვანია. მაქსიმალურად შეამცირეთ ინდუსტრიული პროდუქტი, ხელოვნური საკვები დანამატები - კონსერვანტები, მღებავი ნივთიერებები. შეამცირეთ რძის, კვერცხის და ხორბლის ფქვილის პროდუქტების მოხმარება. ძლიერ მკაცრი შეზღუდვა აუარესებს ცხოვრების ხარისხს და ერთფეროვანი საკვები ასევე ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. დაუკვირდით რომელი საკვების მიღების დროს უმჯობესდება მდგომარეობა და როდის უარსებდება, ამის მიხედვით შეიმუშავეთ დიეტა, ასევე გაესაუბრეთ ექიმს.

სპორტული ტრამვები

მოტეხილობა, დაბეჟილობა, ღრძობა, დაჭიმულობა საკმაოდ მტკივნეულია და იწვევს შეშუპებას, სისხლნაჟღენთების განვითარებას, რადგან სისხლისა და ქსოვილოვანი სითხის ცირკულაცია დაზიანებული ადგილის კანქვეშ მოშლილია. დაზიანება იწვევს წვრილი სისხლძარღვების დაწყვეტას და სისხლი ქსოვილში იჟონება. ასე წარმოიქმნება ე.წ ჰემატომა და შეშუპება. თუ ტრავმა სახსრის რეგიონს არ ეხება, მაშინ უმეტესად უვნებელია და არნიკას შემცველი ბუნებრივი წამლების გამოყენებით მალე გაივლის. არნიკას გამონაწვლილს აქვს ქსოვილთა მასტრუქტურირებელი, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, შეშუპების მომხსნელი, სისლნაჟღენთების განვითარების შემაფერხებელი ეფექტი.

გაფრთხილება: არნიკას შემცველი წამლები არ გამოიყენება მასზე მომატებული მგრძნობელობის ან სხვა რთულყვავილოვანი ოჯახის წარმომადგენლების მიმართ ალერგიის შემთხვევაში.

Weleda Arnika-Essenz არნიკას ესენცია გვ.42

Weleda Arnika - Salbe 10 % - არნიკას მალამო 10% გვ.42



სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Arnica montana (არნიკა).

150-ზე მეტი ნივთიერებაა არნიკაში შესწავლილი. ის ააქტიურებს სისხლმომარაგებას და ნივთიერებათა ცვლას. ამიტომ შეშუპებას სწრაფად აცხრობს. მისი მაფორმირებელი მოქმედება ხელს უწყობს ქსოვილების რეგენერაციას.

დაბეჟილობა, მოტეხილობა, ღრძობა, სისხლჩაქცევა

პირველადი დახმარება სპორტული ტრავმებისას
Weleda Arnika-Essenz არნიკას ესენცია

არნიკას ესენციით გამაგრილებელი საფენი არის საუკეთესო პირველადი დახმარება სპორტული ტრავმების დროს: გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი, შეშუპების მომხსნელი და სისხლნაჟღენთების სწრაფად გაწოვის ეფექტი. არნიკა დაზიანებული ქსოვილების მასტრუქტურირებელია, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და განკურნების პროცესებს. სწრაფი ეფექტისთვის დაზიანების მიღებისთანავე გამოიყენეთ არნიკას ესენციის საფენი.

დოზირება და გამოყენების წესი: 1 ს.კ არნიკას ესენცია 250 მლ წყალში გახსენით, დაასველეთ მასში საფენი და დააფინეთ. ყოველ 15 წუთში ერთხელ ცვალეთ საფენი. დაიტანეთ ტრავმირებულ არეზე, სადაც კანის მთლიანობა არ არის დარღვეული. არ გამოიყენება 1 წლამდე ასაკის ბავშვებში.

შემადგენლობა: 10გ. შეიცავს: აქტიური ნივთიერება: არნიკას (Arnica) მთელი მცენარე Ø3გ. მალამოს ფუძე: არაქისის რაფინირებული ზეთი, მატყლის ცვილი, ფუტკრის ცვილი, მატყლის ცვილისსპირტები (შეიცავს ბუტილჰიდროქსიტოლუოლს), გამოხდილი წყალი.

შემდგომი მკურნალობა Weleda Arnika - Salbe 10% არნიკას მალამო 10% - 6 წლამდე Weleda Arnika - Salbe 30% არნიკას მალამო 30% - 6 წლიდან ზემოთ

არნიკას მალამო 10% გამოიყენება სპორტული ტრავმების შემდგომი მკურნალობისთვის, განსაკუთრებით გახანგრძლივებული განკურნების პროცესის დასაჩქარებლად.

დოზირება და გამოყენების წესი: 2-5-ჯერ დღეში დაზიანებულ ადგილებზე წასასმელად.

კუჭ-ნაწლავის ჩივილები

ჩვილებში მონელების პრობლემები ყველაზე ხშირია, რადგან მათი საჭმლის მომნელებელი ორგანოები ყველაზე მეტად იტვირთება: ახალშობილში ისინი ერთის მხრივ უნდა მოერგონ ახალ გარემო პირობებს და მეორეს მხრივ საჭმლის მომნელებელი სისტემის რთული ფუნქციები ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული. მოგვიანებით, დედის რძიდან მყარ საკვებზე გადასვლა ახალი გამოწვევაა კუჭ-ნაწლავისთვის. ჩვილები და ბავშვები ბევრად უფრო მგრძნობიარენი არიან, ვიდრე მოზრდილები. თუმცა საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები ზოგჯერ შეიძლება გამოვლინდეს მოზარდებშიც.

Amara-Tropfen - ამარა ტროპფენ გვ.45

Chamomilla Cupro culta, Radix Rh D3 - ხამომილა კუპრო კულტა რადიქს D3 წვეთები გვ.46

Digestodoron® Tabletten - დიგესტოდორონი ტაბლეტები გვ.48

ღებინება / გულისრევა

ღებინებას და გულისრევას შესაძლოა სულ სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. ინფექციური დაავადებების გარდა ფსიქო-ემოციური განწყობა გავლენას ახდენს კუჭნაწლავის ფუნქციაზე, იწვევს ტკივილს და ღებინების შეგრძნებას და ეს მგრძნობიარე სისტემა გამოდის წონასწორობიდან. არასწორი კვებითი ჩვევა და არაჯანსაღი საკვები ასევე „ტვირთავს მუცელს“. როცა ჯანსაღი ბავშვი ძუძუს წოვების შემდეგ მცირე რაოდენობით რძეს უკან „იღებს“ ეს ასაღელვებელი არ არის.

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

***Matricaria chamomilla* სამკუჰნაღო გვიჰიღა.** ოდნავი შეხების შემდეგაც გვირილის ნაზი ყვავილები გამოყოფს მოტკბო-არომატულ სურნელს. ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ მოხმარებადი სამკურნალო მცენარეა. მისი ყვავილებისგან იღებენ ეთერზეთს, რომლის მუქი ლურჯი ფერი ძალიან შთამბეჭდავია და მას დამამშვიდებელი, დამაამებელი ეფექტი გააჩნია. გარეგანად გვირილა ჭრილობის, ანთების, კანისა და ლორწოვანი გარსების გაღიზიანების სამკურნალოდ გამოიყენება. მისი ჩაი სასარგებლოა მონელების დარღვევების დროს. სპაზმის მომხსნელი და დამამშვიდებელი თვისებების გამო, იყენებენ შებერილობისა და მუცლის ტკივილის, ასევე ჩვილების კოლიკების დროს.

Amara-Tropfen - ამარა ტროპფენ (მწარე წვეთები)

მწარე წვეთები გამოიყენება უმადობისა და ღებინების სამკურნალოდ. აბზინდას, ასისთავას, გულყვითელას და ვარდკაჭაჭას მწარე ნივთიერებები პირის ღრუში მოხვედრისთანავე ააქტიურებენ მონელების პროცესებს და მომნელებელი წვენების გამოყოფას.

ბაბუაწვერა აღძრავს მადას, ფარსმანდუკი და ღვიის ნედლი ტოტები ხსნის კუჭნაწლავის გლუვკუნთოვან სპაზმებს. მწარე წვეთები მონელებას ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფის და ნაღვლის ბუშტის ბუნებრივად გააქტიურების გზით.

დოზირება და გამოყენების წესი:

12 წლიდან 10–15 წვეთი, **6–11 წლამდე** 5–8 წვეთი, **1–5 წლამდე** 3–5 წვეთი Amara-Tropfen უმადობისას 15 წუთით ადრე ჭამამდე. მონელების დარღვევისას, ღებინების ან სისავსის შეგრძნების დროს ჭამიდან 1 საათში 3-5 ჯერ დღეში.

არ გამოიყენება 1 წლამდე ბავშვებში.

შემადგენლობა: 10გ(=10,4მლ) შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: აბზინდის (Artemisia absinthium) ბალახის სპირტიანი ექსტარქტი (1:2,3) 0,15გ / ასისთავას (Centaurium erythraea) ბალახის სპირტიანი ექსტარქტი (1:2,3) 0,075 გ / ვარდკაჭაჭას (Cichorium intybus) მთელი მცენარის სპირტიანი ექსტარქტი (1:2,3) 0,6 გ / ნაღველას (Gentiana lutea) სპირტიანი ნახარში Ø 0,36 გ / ღვიის (Juniperus communis) ღეროს სპირტიანი გამონაცემი Ø (HAB, V. 20) 0,05 გ / ფარსმანდუკის (Millefolium) ბალახის სპირტიანი გამონაცემიØ (HAB, V. 20) 2,0 გ / ტყის კამის (Peucedanum ostruthium) ფესურის სპირტიანი ნახარში (1:2,15) 0,15 გ / სალბის (Salvia oficinalis) სპირტიანი გამონაცემი Ø 1,0 გ / ბაბუაწვერას (Taraxacum) ნაყენი Ø 0,32 გ. სხვა ინგრედიენტები: 96% ეთანოლი, გამოხდილი წყალი.

როდის მივმართოთ ექიმს?

- თუ ჩვილს გული ერევა.
- თუ ღებინება რამდენიმე საათი გრძელდება.
- თუ გულის რევას სხვა სიმპტომებიც ერთვის, მაგ. დიარეა, ტემპერატურის მატება, ყურის ტკივილი, აპათია ან კისრის რიგიდობა.
- თუ ღებინება ტრავმის შემდგომ იწყება (ვარაუდია ტვინის შერყევაზე).
- მგზავრობის აუტანლობისას.
- გახანგრძლივებული მუცლის ტკივილის დროს, რომელიც მძაფრდება მარჯვენა ქვედა მუცელში (ვარაუდია აპენდიციტზე).

შებერილობა / მუცლის ტკივილი

შებერილობა ჩვეულებრივ საფრთხეს არ შეიცავს და მუცლის გამათბობელი მასაჟით და ბუნებრივი წამლებით ადვილად მოგვარებადია. შებერილობა ხშირია ჩვილებსა და მცირე ასაკის ბავშვებში, რადგან მათი მომნელებელი სისტემა ჯერ კიდევ არასრულფასოვნად მუშაობს და ზოგიერთ საკვებს ვერ ამუშავებს. შებერილობას იწვევს ასევე დიდი რაოდენობით ჰაერის ყლაპვა, ძნელად მონელებადი ან აირების შემცველი საკვების მიღება, გარკვეული საკვების აუტანლობა ან ანტიბიოტიკოთერაპია. თუ ნაწლავში დაგროვილი გაზები ბუნებრივი გზით არ გამოიდევნება, თავს იჩენს კოლიკისმაგვარი ნაწლავის სპაზმები.

ნაწლავური კოლიკა, შებერილობა და მუცლის ტკივილი Chamomilla Cupro culta, Radix Rh D3 - ხამომილა კუპრო კულტა რადიქს D3 წვეთები

სამკურნალო გვირილას ფესვი აამებს მუცლის ტკივილს და ხსნის ნაწლავურ სპაზმებს, მათ შორის შებერილობისა და ყაბზობისადმი მიდრეკილების დროს. სპილენძს აქვს გამათბობელი და სპაზმის მომხსნელი თვისება. ასევე ხსნის გაღიზიანებადობასა და შფოთვას, რომელსაც იწვევს ტკივილი და დისკომფორტი საჭმლის მომნელებელ სისტემაში.

დოზირება და გამოყენების წესი:

12 წლიდან 1-3-ჯერ დღეში 10–15 წვეთი,
6–11 წლამდე 1- 3-ჯერ დღეში 5–10 წვეთი
0- 5 წლამდე 1- 3-ჯერ დღეში 3–5 წვეთი

შემადგენლობა: Chamomilla Cupro culta, Radix Rh D3 1 მლ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას: Chamomilla Cupro culta, Radix Rh D3 (HAB V.21) 1 მლ. გამოხდილი წყალი.

ყაბზობა / დიარეა

საჭმლის მონელების დარღვევა დიარეის ან ყაბზობის მიზეზი ხდება. მწვავე ყაბზობად ითვლება თუ კუჭის მოქმედება სამ დღეზე მეტ ხანს წყდება* ეს მდგომარეობა იწვევს მადის დაქვეითებას, შებერილობას, მუცლის ტკივილს. ყაბზობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ბალასტური ნივთიერებებით ღარიბი საკვები წყლისა და მოძრაობის ნაკლებობასთან ერთად კომბინაციაში. ასევე ინფექციური დაავადებები, სხეულის მაღალი ტემპერატურა ან ფსიქოემოციური დაძაბულობა.

დიარეა ხშირად ვირუსული ინფექციის შედეგად ვითარდება. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ჩვილი თუ დღეში 3-ჯერზე მეტად თხლად გადის კუჭში, ითვლება დიარეად. ხშირად დიარეა ნაწლავის ძლიერი სპაზმებით მიმდინარეობს. თუ მოზრდილ ასაკში დიარეა ჩვეულებრივ საფრთხეს არ უქმნის პაციენტს, ჩვილებში მინერალების, სითხის და შაქრის ძლიერი დანაკლისი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სხეულის გაუწყლოვნებისათვის. დიარეის დროს გახსოვდეთ, რომ თქვენმა პატარამ უნდა მიიღოს შესაბამისი რაოდენობით წყალი. შაქრისა და ელექტროლიტური ბალანსის აღსადგენად ½ ჩ. კ სუფრის მარილი და 5 ჩ.კ გლუკოზა 500 მლ ჩაიში გახსენით და დღის განმავლობაში დაალევინეთ.

* ექსკლუზიურად ძუძუთი კვებისას ჩვილებს აქვთ ინდივიდუალური მონელების რიტმი. პირველი 6 კვირის განმავლობაში 10 დღიანი გაუვალობა ისევე ნორმალურია, როგორც დღეში 5 ჯერ კუჭის მოქმედება.

საჭმლის მომნელებელ სისტემაში ბალანსის აღდგენა Digestodoron® Tabletten - დიგესტოდორონი ტაბლეტები

დიგესტოდორონი არეგულირებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოტორიკას და გამოიყენება როგორც ყაბზობის, ისე დიარეის დროს, რომლის გამომწვევიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რიტმის მოშლაა. დიგესტოდორონი მოქმედებს დარღვეული რიტმის გამაწონასაწორებლად. მისი გამოყენება შესაძლებელია ხანგრძლივად. მწვავე დაავადებების დროს, შესაძლებელია დიგესტოდორონის გამოყენება ექიმის მიერ დანიშნულ სხვა წამლებთან ერთად.

დოზირება და გამოყენების წესი (ტაბლეტები):

12 წლიდან 2–4 ტაბლეტი, **6–11 წლამდე** 1–2 ტაბლეტი, **2–5 წლამდე** 1 ტაბლეტი, **0- 2 წლამდე** 1/2 ტაბლეტი. **ყველა ასაკობრივ ჯგუფში** 1- 3-ჯერ დღეში 15 წუთით ადრე ჭამამდე მცირე რაოდენობით წყალთან ერთად. 5 წლამდე ასაკის ბავშვებს დაუფხვენით ტაბლეტი ან გახსენით გრილ დაუმტკბარ ჩაიში.

შემადგენლობა: 1 ტაბლეტი შეიცავს: აქტიური სუბ-სტანციები: ჩადუნას (Dryopteris filix-mas) ფოთლების სპირტიანი დიგესციო (1:3,1) 36 მგ / კილამურას (Polypodium vulgare) ფოთლების სპირტიანი დიგესციო (1:3,1) 8 მგ / წნორის, წითელი ტირიფისა და მანეულის (Salix alba, S. purpurea, S. viminalis) ფოთლების სპირტიანი დიგესციო (1:3,1) 80 მგ / ირმის-ენას (Phyllitis scolopendrium) ფოთლების სპირტიანი დიგესციო (1:3,1) 36 მგ. სხვა ინგრედიენტები: ლაქტოზას მონოჰიდრატი, ხორბლის სახამებელი, კალციუმის ბეჰენატი.

როდის მივმართოთ ექიმს დიარეისა და ყაბზობის დროს?

- თუ სახეზეა ჩივილების კომპლექსი: დიარეა, ღებინება, გულის რევა და ტემპერატურის მატება.
- თუ განავალში სისხლს შენიშნავთ (მუქი შავი ფერის განავალი)
- თუ მუცლის ტკივილი ძლიერია და გახანგრძლივებული.
- ჩვილებში მწვავე დიარეის ან ყაბზობის დროს
- თუ ბავშვის კუჭის მოქმედება არარეგულარულია

ნევროზული მდგომარეობა და ძილის დარღვევები

ბავშვები უშუალოდ აღიქვამენ გარემოს და ძლიერად რეაგირებენ მასზე. შესაძლებელია, რომ სიხარული, ხალისიანი განწყობა სწრაფად შეცვალოს შფოთვამ და ნევროზულმა მდგომარეობამ.

ხშირად მშობლები ვერ ხვდებიან რატომ არის მათი ბავშვი აგზნებული, მშფოთვარე და ნერვული. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ეს მდგო-მარეობა გახანგრძლივებულია. რატომ რეაგირებს ზოგი ბავშვი გადაჭარბებით ვიდრე სხვა? ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს. სკოლის სტრესი მრავალ ფაქტორს შორის ერთ-ერთია. თუმცა შფოთვასა და ნერვულ მდგომარეობას შესაძლოა კონსტიტუციური საფუძველი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში გარე გამღიზიანებლები გაცილებით უფრო მეტ ზეგავლენას ახდენენ ბავშვზე. ზემგრძნობიარე ბავშვები, მეტად აღიქვამენ გარემოს და უფრო მოწყვლადი არიან, მალე იფიტებიან და ღიზიანდებიან.

რეგულარული, მოწესრიგებული დღის რიტმი არის ნერვული სისტემის მდგრადობისა და სიმშვიდის საფუძველი. სუფთა ჰაერზე თამაში და სეირნობა ამშვიდებს გაღიზიანებულ ბავშვს.

ველედას ბუნებრივი წამლები ხელს უწყობს მშვიდ ძილს და ამშვიდებს აღგზნებულ, გაღიზიანებულ ნერვულ სისტემას. სამკურნალო მცენარეები: კატაბალახა, შვრია, ლავანდა ცნობილია თავიანთი დამამშვიდებელი და დაძაბულობის მომხსნელი თვისებებით. ბუნებრივი წამლების მიღებასთან ერთად რეკომენდებულია გარეგანი საშუალებების გამოყენება, მაგ. აბაზანები ან შეზელვა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობლების სიახლოვე, რადგან ეს კიდევ უფრო ამშვიდებს და დაცულობის შეგრძნებას მატებს პატარას.

Calmedoron®- კალმედორონი გვ.51

Neurodoron® - ნეიროდორონი გვ.52

სამკურნალო მცენარის პორტრეტი

Avena sativa (შვრია) „შვრია მატებს ნერვებს ძალას“, წერდა ჰილდეგარდ ფონ ბინგენი მე-12 საუკუნეში. მასში მოიპოვება ძვირფასი სამკურნალო კომპო-ნენტები ფლავონოიდები, ტრიტერპენული საპონინები (Avenacin), სილიციუმის მუავა, ცილები, ვიტამინები და სხვადასხვა მინერალები, უწინარეს ყოვლისა რკინა და თუთია. ჰომეოპათიაში შვრია გამოიყენება ნერვული სისტემის მდგრადობის გასაძლიერებლად, ძილის დარღვევის სამკურნალოდ.

ამშვიდებს და ხელს უწყობს ჩაძინებას Calmedoron®-კალმედორონი

სამკურნალო მცენარეთა - შვრია, სვია, კატაბალახა და (პასიფლორა) ვნების ყვავილები -გამონაწვლილები ამშვიდებს და ხელს უწყობს გამოფიტვისგან გამოწვეული კუნთების დაჭიმულობის, გადაღლის შეგრძნების, მომატე-ბული გაღიზიანების და შფოთვის მოხსნას. კალმედორონი უარყოფით გავლენას არ ახდენს ყურადღებასა და კონცენტრაციაზე, აქედან გამომ-დინარე მისი გამოყენება დღის განმავლობაშიც შესაძლებელია. საღამოს კალმედორონის მიღება ხელს უწყობს მშვიდ ძილს, გამოიყენება ბავ-შვებში, რომლებიც საღამოს „ფხიზლდებიან“ და დღის განმავლობაში მიღებული შთაბეჭდილებებისგან ვერ თავისუფლდებიან. კალმედორონი ხელს უწყობს დღე-ღამის რიტმის სტაბილიზებას.

დოზირება და გამოყენების წესი (გლობულები):

6 წლიდან 15 გლობულა, **1–5 წლამდე** 10 გლობულა, **0-1 წლამდე** 5 გლობულა. ძილის დარღვევის დროს, შესაბამისი დოზა მიიღება ძილის წინ, ნევროზული მდგომარეობის დროს, შესაბამისი დოზა - დილით 1 ჯერ დღეში.

შემადგენლობა: 1 10 გ გლობულები შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: ჩვეულებრივი შვრიის (Avena sativa) დედო ნაყენი 2ბ Ø 0,5 გ / სვიის (Humulus lupulus) დედო ნაყენი Ø 0,024 გ / პასიფლორას (Passiflora incarnata) დედო ნაყენი Ø 0,15 გ / კატაბალახას (Valeriana) სპირტიანი გამონახარში Ø 0,3 გ / მოხალული ყავის (Coffea) სპირტიანი გამონახარში D60 (HAB, V. 19f) 0,1 გ.

Neurodoron® - ნეიროდორონი

ნაცნობია სკოლის და სწავლის შიში, გამოცდების მოლოდინი, რომელსაც შესაძლოა მოყვეს გაღიზიანება, ნევროზული მდგომარეობა თანმხლები სისუსტით, ენერგიის ნაკლებობით, გამოფიტვით და თავის ტკივილით .

ნეიროდორონი შეიცავს მინერალურ და მეტალურ კომპონენტებს. მასში შემავალი კალიუმის ფოსფატი დადებით გავლენას ახდენს ნერვულ სისტემასა და კუნთებზე, ზრდის მათ ამტანობას და ანიჭებს მდგრადობას. ოქრო ხელს უწყობს შინაგანი წონასწორობის აღდგენას და შენარჩუნებას. რკინა-კვარცი ნერვული გამოფიტვის შემთხვევაში გამოიყენება და ხელს უწყობს ნერვული სისტემის გაწონასწორებას. ნეიროდორონი უზრუნველყოფს ემოციურ მდგრადობას გარეგანი და შინაგანი გამღიზინებლების მიმართ, მაგ. სტრესი, ნერვული სისტემის სტაბილიზაციას და ხელს უწყობს შინაგანი წონასწორობის დამყარებას. ამასთან არ იწვევს სედაციას და მიჩვევას.

ნეიროდორონი წარმატებით გამოიყენება გარდატეხის ასაკისთვის დამახსიათებელი მომატებული შფოთვის და გაღიზიანებადობის, თავის ტკივილების, კონცენტრაციის სისუსტის, სასკოლო ან სოციალური სტრესის სამართავად.

დოზირება და გამოყენების წესი (ტაბლეტები):

3-4-ჯერ დღეში 1 ტაბლეტი გასაწუწნად ან მცირე რაოდენობით სითხესთან ერთად მისაღებად. **12 წლამდე არ გამოიყენება** ექიმის დანიშნულების გარეშე. **1 წლამდე ბავშვებში არ გამოიყენება .**

Aurum მეტალური ოქრო
(Bestandteil von Neurodoron®)

შემადგენლობა: 1 ტაბლეტი შეიცავს: აქტიური ნივთიერებები: მეტალური ოქროს პრეპარატი ტრიტურაცია D10 (HAB, V. 6) 83,3 მგ / კალიუმის დიჰიდროფოსფატი ტრიტურაცია D6 83,3 მგ / რკინა-კვარცი ტრიტურაცია D2 (HAB, ШV 6) 8,3 მგ. (1 გ საწყის სუბსტანციაში გამოყენებულია: რკინის სულფატი 0,64 გ; თაფლი 0,32 გ; ღვინო 0,02 გ; კვარცი 0,16 გ.) სხვა ინგრედიენტები: ლაქტოზის მონოჰიდრატი, ხორბლის სახამებელი, კალციუმის ბეჰენატი.

როდის მივმართოთ ექიმს ნევროზის, ძილის დარღვევისა და გამოფიტვის დროს ?

- თუ ჩივილები მძიმდება და/ან რამდენიმე კვირა გრძელდება.
- თუ ბავშვს ხანგრძლივად ერღვევა ძილი.
- გაურკვეველი წარმოშობის და გახანგრძლივებული თავის ტკივილის დროს.
- როცა შფოთვას ახლავს სიმპტომები: თავბრუსხვევა, წონის კლება, გულის წასვლისადმი მიდრეკილება, სუნთქვის გახშირება ან გულის არეში ჩხვლეტა.
- თუ ბავშვს აქვს დეპრესიული განწყობა.

მშვიდი ძილისთვის:

- ცხელი წყლის შხაპს ან აბაზანას აქვს დამამშვიდებელი მოქმედება. ველედას გულყვითელას საბაზანო რძის აბაზანა იცავს არამხოლოდ ბავშვის ნაზ კანს, არამედ ამშვიდებს და ხელს უწყობს მშვიდ ძილს.
- ჩაძინების პრობლემის დროს, მსუბუქი მასაჟი ხელს უწყობს ძილს: ძილის წინ, ბავშვს ზეთი მსუბუქად შეუზილეთ კიდურებზე. 6 წლამდე სამასაჟედ გამოიყენეთ გულყვითელას ზეთი. 6 წლიდან შესაძლებელია ლავანდის ზეთის გამოყენებაც.

კარგია იცოდეთ

სენსორული შთაბეჭდილებების მართვა

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სენსორული შთაბეჭდილებების მართვას, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება გაღიზიანებად. ჩვენი თანამედროვე გარემო გადატვირთულია ასეთი სენსორული გამღიზიანებლებით, რასაც ჩვენ სხვადასხვა გრძნობის ორგანოთი აღვიქვამთ (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო...), ეს ხშირად ნახევრად ან სრულიად არაცნობიერად ხდება. ზემგრძნობიარე, მშფოთვარე და ნევროზული ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან გარე გამღიზიანებლების მიმართ, ამიტომ მათ ვიზუალურ და აუდიო-მედია საშუალებებთან წვდომა ძალიან დოზირებულად უნდა ჰქონდეთ (სმარტფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი).

რიტმული დღის რუტინა

რიტმი სიცოცხლის საფუძველია და ქმნის ენერგიის წყაროს ბავშვებისა და მშობლებისათვის. რეგულარული, ყოველდღიური რუტინა ძილღვიძილის მოწესრიგებული რიტმით, ერთად ჭამის კულტურა, პატარ-პატარა რიტუალები, მაგ. ძილის წინ ზღაპრის წაკითხვა, ბავშვებს ანიჭებს სიმშვიდეს, დაცულობას და გარემოსადმი ნდობას.

ჯანსაღი ძვლებისა და კბილების ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ბავშვის სხეულის ჩამოყალიბება სიცოცხლის პირველ წელს წარმოუდგენლად დიდ დატვირთვასთან არის დაკავშირებული. ძალისა და ენერგიის დიდი ნაწილი ამ პერიოდში ხმარდება ზრდას, ასევე ძვლებისა და კბილების ჩამოყალიბებას. თუ მინერალიზაციის პროცესი სუსტია, მაშინ ძვლებისა და კბილების ფორმირება არ მიმდინარეობს ოპტიმალურად და ისინი რჩება რბილი და მყიფე.

ველედას ბუნებრივი წამლებით თქვენ ხელს შეუწყობთ მოზარდის ფიზიოლოგიურ ზრდას და განვითარებას.

ჯანსაღი ძვლებისა და კბილების ხელშეწყობა Weleda Aufbaukalk 1 und 2 - აუფბაუკალკ 1 და 2-ით

ხელს უწყობს ბავშვის სხეულის ჯანსაღ განვითარებას. აუფბაუკალკი კალციუმს შეიცავს ჰომეოპათიური პოტენცირებული ფორმით, რომელიც ბუნებრივი სუბსტანციებისგან მიიღება. აუფბაუკალკი 1 (მიიღება დილით) და აუფბაუკალკი 2 (მიიღება საღამოს) არის ერთი წამალი. აუფბაუკალკი 1 და 2 არ წარმოადგენს კალციუმის შემავსებელ წამალს და არ არის კვებითი დანამატი, არამედ ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ საკვებით მიღებული კალციუმის ოპტიმალურ ათვისებას და მის მიზანმიმართულ გამოყენებას ზრდისა და ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებისთვის.

აუფბაუკალკი 1 მიიღება დილით და ააქტიურებს კალციუმის ცვლას. აუფბაუკალკი 2 ორგანიზმის მიერ შეთვისებული კალციუმის ზრდისა და განვითარების პროცესებში ჩართვას უზრუნველყოფს.

აუფბაუკალკი აძლიერებს კანის ბარიერულ ფუნქციას და გამოიყენება ალერგიული დიათეზის კომპლექსური მკურნალობისას. აუმჯობესებს ფრჩხილებისა და თმის ხარიხსხს. მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია ექიმის მიერ დანიშნულ კალციუმის პრეპარატებთან ერთად.

დოზირება და გამოყენების წესი (ფხვნილი):

Weleda Aufbaukalk 1 და 2 მონაცვლეობით დილას და საღამოს: დოზირებული თავსახურით (დაახლ. 0,2 გრ) მცირე რაოდენობით სითხესთან ერთად ან გასაწუწნად.

Weleda Aufbaukalk 1

შემადგენლობა: 10 გ შეიცავს: აქტიური სუბსტანციები: აპატიტის (AApatit Trit.D5) ტრიტურაცია D5 1 გ / გოგრის (Cucurbita pepo, Flos rec.trit D2) ყვავილის ტრიტურაცია D2 (HAB. V. 3c da 7) 1 გ. სხვა ინგრედიენტი: ლაქტოზის მონოჰიდრატი.

Weleda Aufbaukalk 2

შემადგენლობა: 10 გ შეიცავს: აქტიური ნივთიერებები: მოლუსკის ნიჟარა (Conchae) 0,5 გ / მუხის (Quercus) სპირტიანი ნახარშის ტრიტურაცია D3 (D2 – HAB. V. 7-ის მიხედვით; D3 – HAB. V. 6-ის მიხედვით) 1 გ. სხვა ინგრედიენტი: ლაქტოზის მონოჰიდრატი.

ველედას სამკურნალო საშუალებები თქვენი საოჯახო და სამოგზაურო აფთიაქისთვის

ბავშვებში დაავადებები ან დაზიანებები ხშირად მოულოდნელად იჩენენ თავს. გთავაზობთ ველედას წამლების ჩამონათვალს, რომლებიც თქვენს საოჯახო და სამოგზაურო აფთიაქს შეავსებდა.

გაციება
ინფლუდორონი გვ.8
სინუდორონი გვ.17

ნევროზი და უძილობა
კალმედორონი გვ.51

თვალის ანთება
ვიზიოდორონ ევფრაზია D3 ..... გვ.23

მუცლის შებერილობა და კოლიკები
ხამომილა კუპრო კულტა, რადიქს რჰ D3 ..... გვ.46

გულისრევა
ამარა წვეთები გვ.45

მზით დამწვრობა, მწერების ნაკბენი, დამწვრობა
კომბუდორონის ჟელე გვ.30

კანის ზედაპირული დაზიანება და ანთება
კალენდულას ჭრილობის მალამო გვ.26

ნაღრძობი, სისხლჩაქცევა, დალურჯება
არნიკას ესენცია გვ.42
არნიკას მალამო 10% გვ.42
არნიკას მალამო 30% გვ.42

weleda.ge
Weleda.Georgia
+ 995 032 2 38 21 28
www.weleda.ge
www.weledashop.ge
თბილისი, პეკინის გამზ. 45